ეთიკის კოდექსი

1. მოქმედების სფერო:

- ეთიკის კოდექსი მავალდებულებელი ძალისაა ასოციაციის ყველა წევრისთვის.

- ეთიკის კოდექსი მოქმედებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე (რეაბილიტაცია, გაკოტრება, რეგულირებული შეთანხმება), ასევე გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დანიშვნამდე და მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

- ეთიკის კოდექსი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ეთიკურ პრინციპებთან ერთად, ადგენს ასოციაციის წევრების ეთიკის სტანდარტს.

2. ქცევის მარეგულირებელი ძირითადი პრინციპები

2.1. პრაქტიკოსმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად წარმართოს პროცესი.

2.1.1. პრაქტიკოსმა ყველა გონივრული ზომა უნდა მიიღოს, რათა მხარეებს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია პროცესის შესახებ, თავიდან აიცილოს პროცესის გაჭიანურება, მხარეთა ან სხვა მონაწილეთა შეურაცხყოფა, უთანასწორო მოპყრობა და პროცესის დამაბრკოლებელი ფაქტორები.

2.1.2. პრაქტიკოსმა ყველა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კეთილსინდისიერად, გულმოდგინედ და მის ხელთ არსებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერებისა და მხარეთა ინტერესების დაცვის საფუძველზე... .

2.1.3. პრაქტიკოსმა, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების პროცესში მოსამზადებელი ანგარიშები უნდა შეადგინოს გონივრული სიზუსტის დაცვით, რათა (ა) შესაბამისი ინფორმაციის/ანგარიშის ადრესატებს მიეცეთ იმ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაცია, რომლისთვისაც შესაბამისი ანგარიში მომზადდა; და (ბ) თუ ანგარიშის მიზანია მხოლოდ ინფორმირება, მაშინ იგი ადრესატებს ადექვატურ წარმოდგენას უნდა უქმნიდეს მასში განხილულ საკითხებზე. ამასთან, პრაქტიკოსმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქმისწარმოებისთვის გაწეული ხარჯი შეესაბამება მის მიზანს.

2.1.4. მას შემდეგ, რაც პრაქტიკოსი დაინიშნება, მან არ უნდა თქვას უარი გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ფუნქციის შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა როცა არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები ანდა თუ განსაკუთრებული გარემოებების გამო იგი იძულებულია ასე

მოიქცეს, რადგან სხვანაირად პროცესის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა.

2.1.5. პრაქტიკოსმა გონივრულად უნდა შეაფასოს არის თუ არა კონკრეტული სპეციალური ცოდნის მქონე პირის დაქირავება პროცესის ინტერესებში და შეარჩიოს შესაბამისი გამოცდილების და რეპუტაციის მქონე პროფესიონალი ხარჯების ოპტიმიზაციის პრინციპის დაცვით.

2.1.6. მიზანშეწონილია რომ მომსახურების მომწოდებლების შერჩევა მოხდეს კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, გადახდისუუნარობის მასის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

2.1.7. პრაქტიკოსის მიერ განხორციელებული რეკლამა უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს და არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი. რეკლამირება და პოპულარიზაცია არ უნდა ტოვებდეს შთაბეჭდილებას, რომ გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის დანიშვნა ანდა საქმიანობა განხორციელდება კანონის ან ამ კოდექსის წესების საწინააღმდეგოდ.

2.1.8. გადადგომის თაობაზე განცხადების წარდგენიდან გათავისუფლებამდე პერიოდში პრაქტიკოსმა თავი უნდა შეიკავოს არსებითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებისგან. ეს წესი არ გამოიყენება, თუ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნებამ შესაძლოა არსებითად საუარესო გავლენა იქონიოს სამეურვეო ქონების ან კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესებზე.

2.1.9. შემცვლელი პრაქტიკოსის დანიშვნის შემდგომ, პრაქტიკოსი ვალდებულია ითანამშრომლოს მასთან კეთილსინდისიერად და მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული და უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია/დოკუმენტი რათა უზრუნველყოფილ იქნას უფლებამოსილების შეუფერხებელი გადაცემა და თავიდან იქნას აცილებული პრაქტიკოსის გადადგომის ან გათავისუფლების გამო საქმის გაჭიანურება.

2.2. პრაქტიკოსი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

2.2.1. პრაქტიკოსმა უნდა უზრუნველყოს, რომ იგი არამხოლოდ იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, არამედ ასეთად უნდა გამოიყურებოდეს მესამე პირებისთვის.

2.2.2. პრაქტიკოსი არ უნდა მოექცეს პიროვნული დაინტერესების, გარეშე ზემოქმედების ან სხვა სახის გავლენის ქვეშ.

2.2.3. პრაქტიკოსს არ უნდა გააჩნდეს რაიმე ინტერესი ფინანსური სიძნელეების მქონე მოვალე საწარმოს მიმართ, გარდა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული საზღაურის მიღებისა.

2.2.4. პრაქტიკოსმა თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს. ეთიკის კოდექსის მიზნებისთვის, ინტერესთა კონფლიქტად ჩაითვლება კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები.

2.2.5. პრაქტიკოსმა თავი უნდა შეიკავოს სხვა სარგებლის ან საჩუქრის მიღებისგან, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.

2.2.6. დაუშვებელია დანიშვნისთვის საშუამავლოს ან საკომისიოს გადახდა.

2.2.7. პრაქტიკოსი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს სასამართლოს და კრედიტორებს, თუ აღმოაჩენს, რომ შეიცვალა ან გამოვლინდა რაიმე გარემოება, რომელიც იქნებოდა დამაბრკოლებელი გარემოება მისიდანიშვნის ეტაპზე,

2.3. პრაქტიკოსს უნდა ჰქონდეს საქმის წარმოების უნარი და კომპეტენცია.

2.3.1. პრაქტიკოსმა უნდა მიმართოს გონივრულ ძალისხმევას დაესწროს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს და პროფესიული გადამზადების პროგრამებს.

2.3.2. პრაქტიკოსები უნდა ეცნობოდნენ გადახდისუუნარობის სფეროში არსებულ სიახლეებს და უნდა იყვნენ სასამართლოს მიერ მიღებული და დამკვიდრებული პრაქტიკის საქმის კურსში.

2.3.3. პრაქტიკოსმა უნდა მიმართოს გონივრულ ძალისხმევას იმ ბიზნესის სპეციფიკის შესასწავლად, სადაც საქმიანობს კონკრეტული მოვალე საწარმო.

2.3.4. [თითოეულმა პრაქტიკოსმა, საქმეზე დანიშვნისას, უნდა შეაფასოს საკუთარი კომპეტენცია და თუ ჩათვლის საჭიროდ, აცნობოს პროცესის მონაწილეებს მისი გამოცდილებისა და კომპეტენციის თაობაზე].

2.4. ***პრაქტიკოსმა უნდა უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა.***

2.4.1. პრაქტიკოსი ვალდებულია დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რაც მისთვის ხელმისაწვდომი ხდება შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში. აღნიშნული ვალდებულება ძალაში რჩება საქმის წარმოების დასრულების შემდგომაც.

2.4.2. აკრძალულია პრაქტიკოსის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება პირადი სარგებლისთვის.

2.4.3. პრაქტიკოსი ვალდებულია მიიღოს გონივრული ზომები იმ მესამე პირების მიერ კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვის (რაც ასევე გულისხმობს ვალდებულებას არ გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცის პირადი სარგებლისთვის) მიზნით, რომელთაც დაცული ინფორმაცია გადაეცემათ პრაქტიკოსის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების ფარგლებში.

2.4.4. პრაქტიკოსმა, რომელსაც გადახდისუუნარობის პროცესის დასრულებამდე შეუწყდება უფლებამოსილება, უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა დაიცვას პროცესის მონაწილეთა ინტერესები, მათ შორის უნდა უზრუნველყოს მასთან არსებული დოკუმენტების/ინფორმაციის დაბრუნება და კონფიდენციალობის შენარჩუნება.